ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 1 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა
9. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება. ამასთან, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს წესს მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტი „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 137-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს.

მომხსენებელმა კომისიას შესთავაზა წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია